COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

თბილისში პარკების დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის

გზამკვლევი

2020, თბილისი

წინათქმა

გზამკვლევის მიზანია ხელი შეუწყოს კონსულტაციების ისეთი ინსტიტუციური მექანიზმის ფორმირების პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვის პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვას.

გზამკვლევი მომზადდა პროექტის - "თბილისის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერება" ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს ევროპის საბჭო, თბილისის მერიასთან ერთად. იგი წარმოადგენს 2019 წელს განხორციელებული საპილოტე პროექტის გაგრძელებას და მიზნად ისახავს თბილისის მერიის მიერ პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დამატებით გაძლიერებასა და ინტეგრირებას.

პროექტის ერთ-ერთ მთავარი მიზანი ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებსა და საზოგადოების ინტერესთა ჯგუფებს შორის მაკოორდინირებელი პლატფორმის ჩამოყალიბებაა, რომლის ფარგლებშიც განიხილება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მწვანე სივრცეების განახლების ან/და მშენებლობის კონკრეტული ინიციატივები.

გზამკვლევის მომზადებაში მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები: თამარ კობერიძე, დავით ლოსაბერიძე, ვაჟა სალამაძე, ივა ტარალეჟკოვა, ლევან ფანიაშვილი, ნატალია ჩორნოგუბი.

სარჩევი

1. შესავალი 4
1.1. სამოქალაქო მონაწილეობის არსი 4
1.2. სამოქალაქო ჩართულობის ფორმები 4
2. გარემო 6
2.1. საერთაშორისო კონტექსტი 6
2.1.1. სამოქალაქო ჩართულობის ეტაპები 6
2.1.2. საერთაშორისო ნორმები 6
2.1.3. მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალდებულებები 7
2.1.4. სხვა საერთაშორისო შეთანხმებები და დოკუმენტები 10
2.2. ეროვნული კონტექსტი 11
2.2.1. კანონმდებლობით განსაზღვრული მონაწილეობის მექანიზმები 11
2.2.2. სამოქალაქო ჩართულობის სხვა/დამატებითი მექანიზმები 14
2.2.3. თბილისში მწვანე სივრცეების დაგეგმვაში სამოქალაქო მონაწილეობის გამოცდილება 14
3. სამოქალაქო მონაწილეობის პლატფორმა 16
3.1. პლატფორმის საქმიანობის სფერო 16
3.2. პლატფორმის პრინციპები 17
3.3. პლატფორმის საქმიანობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა 18
3.4. პლატფორმის საზოგადოებასთან კონსულტირების ეტაპები 19
4. საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი: 21
4.1. ჯგუფის უფლებამოსილებები 21
4.2. საკოორდინაციო ჯგუფის შერჩევის წესი და შემადგენლობა 21
4.2.1. ჯგუფის საქმიანობის ზოგადი პრინციპები 21
4.2.2. საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობა 22
4.2.3. ჯგუფის დაკომპლექტების წესი 23
4.2.4. საზოგადოების წარმომადგენლების შერჩევის კრიტერიუმები 23
4.3. საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის წესი 24
5. საზოგადოებრივი კონსულტაციები 26
5.1. კონსულტაციების ორგანიზების ძირითადი პრინციპები 26
5..1.1. კონსულტაციების მიზანი და ფორმები 26
5..1.2. კონსულტაციების შედეგების შეჯამება 26
5.2. ანკეტირება 27
5.3. პირისპირ შეხვედრები 29
5..3.1. შეხვედრების მიზანი და ჩატარების წესი 29
5..3.2. შეხვედრების ფორმატი 30
5.4. კონფერენციები 31
5..4.1. კონფერენციების მიზანი და ჩატარების წესი 31
5..4.2. კონფერენციის ფორმატი 32
6. საზოგადოების ინფორმირება 33
6.1. საზოგადოების ინფორმირების მიზანი და ფორმატი 33
6.2. კომუნიკაციის საშუალებები: 33

1. შესავალი

1.1. სამოქალაქო მონაწილეობის არსი

დღეისათვის მსოფლიოში საჯარო მმართველობის სერიოზულ გამოწვევას გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა წარმოადგენს, ვინაიდან მთელი საზოგადოების - ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესთა ჯგუფების - ჩართულობის გარეშე შეუძლებელია მდგრადი, სტაბილური გარემოს ფუნქციონირება. სწორედ ამიტომ გლობალიზაციის პროცესის, ურთიერთობების უნიფიცირების პროცესში იწყება მართვის სისტემებში სხვადასხვა ინტერესების ამსახველი მექანიზმების - მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება.

გლობალიზაციამ საზოგადოებრივი ურთიერთობების უნიფიცირება გამოიწვია, რის შედეგადაც შესუსტდა საზოგადოებრივ პროცესებში ცალკე ინდივიდის როლი, ერთიანი მიდგომის პირობებში კი ნაკლებად ხდება ადგილობრივი, სპეციფიკური ინტერესების გათვალისწინება.

XIX-XX საუკუნეთა მანძილზე დაჩქარებული განვითარების (ახალი ტექნოლოგიები, საზოგადოების მოთხოვნების ზრდა) შედეგად იცვლება ზოგადად მართვის სტილი. საჯარო ხელისუფლების დომინანტი მოდელი, წარმომადგენლობითი (საარჩევნო) დემოკრატია უკვე აღარ არის მიჩნეული მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთადერთ საშუალებად.

ამ ურთიერთწინააღმდეგობრივი პროცესების ერთობლიობა განაპირობებს მართვის სისტემებში სხვადასხვა ინტერესების ამსახველი მექანიზმების შექმნის აუცილებლობას, რაც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებით აღინიშნა.

საჯარო ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის ხარისხის ზრდა:

- საზოგადოებაში აჩენს "საკუთრების" განცდას პროცესისა და მიღწეული შედეგებისადმი და ამცირებს საჯარო სივრცეებში ვანდალიზმის გამოვლინების შემთხვევებს;
- ძლიერი საზოგადოებრივი მხარდაჭერის შედეგად უმარტივებს საქმიანობას ხელისუფლებას და ამაღლებს მის რეიტინგს მოქალაქეთა თვალში;
- საზოგადოებისა და ხელისუფლების თანამშრომლობის გაღრმავებით ხელს უწყობს სამოქალაქო სტაბილურობის გაძლიერებას.

საჯარო შეხვედრები და კამპანიები, სამოქალაქო ინიციატივები, საინფორმაციო პლატფორმები განიხილება დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად და თანდათან, პოლიტიკის ინსტრუმენტიც ხდება.

1.2. სამოქალაქო ჩართულობის ფორმები

მმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დღეისათვის გამოყენებული ფორმები მრავალფეროვანია და საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთობის სხვადასხვა ხარისხს შეესაბამება. არსებული თეორიები განასხვავებენ მონაწილეობის რამდენიმე დონეს.

მიუხედავად განსხვავებული დეფინიციებისა,[1] მონაწილეობის ფორმები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

---

[1] აღნიშნული საკითხით დაინტერესების შემთხვევაში, შეიძლება ინახოს ლიტერატურა, სადაც შესაბამისი მექანიზმებია აღწერილი (არშტაინის კიბე და ა.შ.), კერძოდ:

1. G3 პროგრამის ფარგლებში (USAID):

- ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის სამართლებრივი ასპექტები
- სამაგიდო წინგი - საკრებულოს წევრებისთვის
- სახელმძღვანელო - მოქალაქეთა მონაწილეობა

1. არამონაწილეობა

ამ ჯგუფში მოიაზრება საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და პროპაგანდა, რომლის მიზანია საზოგადოებას ცალმხრივი (პოზიტიური) ინფორმაცია მიეწოდოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

2. სიმბოლური მონაწილეობა

ამ შემთხვევაში მოიაზრება ჩართულობის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა:

- ინფორმირებულობა - ცალმხრივი კავშირი ხელისუფლების მხრიდან, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა ეს უკანასკნელი უკეთ გაერკვეს ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში;
- კონსულტირება - ხელისუფლებისა და საზოგადოების ორმხრივი კავშირი, რომლის მიზანიცაა, ხელისუფლების მიერ წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმების გამოყენებით, განხილულ იყოს პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზები.

3. მოქალაქეთა ძალაუფლება

საზოგადოების ჩართულობის უმაღლესი ფორმა, როცა გადაწყვეტილებები მოქალაქეთა და ხელისუფლების პარტნიორობის საფუძველზე მიიღება:

- თანამშრომლობა/პარტნიორობა - ხელისუფლებისა და საზოგადოებას შორის არსებობს ორმხრივი კავშირი, ამასთან საზოგადოება ჩართულია როგორც ალტერნატივების განხილვის, ისე ამ ალტერნატივათა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში;
- გაფართოებული უფლებამოსილება - საზოგადოებას მონაწილეობს არა მხოლოდ კრიტერიუმებისა და მის საფუძველზე ალტერნატივების განსაზღვრის პროცესში, არამედ გააჩნია გარკვეული დისკრეციაც ხელისუფლების მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ეტაპებზე.

საზოგადოების მონაწილეობის ყველა შესაძლებელი მეთოდის განხორციელებისას საბოლოო გადაწყვეტილებას საჯარო ხელისუფლება იღებს, თუმცა საზოგადოების როლი მნიშვნელოვნად იზრდება უფრო მაღალი დონის თანამშრომლობის პირობებში.

დღეისათვის არსებული ჩართულობის მრავალი ინსტრუმენტიდან თითოეული მათგანი კონკტერულ მიზანს ემსახურება და ერთიანი, უნივერსალური, "საუკეთესო" მოდელი მსოფლიოში არ არსებობს. ყველა ეს აქტივობა დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივაზე და ინოვაციურ მიდგომაზე.

საზოგადოებრივი ჩართულობის წარმოდგენილი მოდელი მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის მწვანე ზონების განვითარების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას შეეხება, თუმცა მისი გამოყენება, გარკვეული ცვლილებებით, შეიძლება როგორც სხვა სფეროებში, ისე სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

---

2. მოქალაქეთა მონაწილოების სტიმულირება თვითმმართველობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში, ანგარიში, CTC

გარდა ამისა, ამ მიმართულებით შექმნილი მასალიდან აღსანიშნავია ევროსაბჭოს დოკუმენტები, რომელთა დანართებში არის შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტებისა და კვლევების ჩამონათვალიც.

- CONF/PLE(2009)CODE1
- Recommendation CM/Rec(2007)14 of the Committee of Ministers to member states on the legal status of non-governmental organisations in Europe
- CM Documents, CM(2017)83-finalRecommendation CM/Rec(2018)4 of the Committee of Ministers to member States on the participation of citizens in local public life

2. გარემო

2.1. საერთაშორისო კონტექსტი

2.1.1. სამოქალაქო ჩართულობის ეტაპები

ისტორიულად ახალი მმართველობითი მექანიზმების ჩამოყალიბება ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში იწყება. სტაბილური და განვითარებადი მართვის სისტემების ჩამოყალიბების პროცესში რამდენიმე ეტაპის გამოყოფა შეიძლება.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, 70-იან წლებამდე, განვითარების ძირითად მასტიმულირებელ ძალად ცენტრალური ხელისუფლების აქტივობა (რესურსების გადანაწილება და დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება) განიხილებოდა. ეს იყო განვითარების მცდელობა "ზემოდან ქვემოთ" (top-down), ანუ ეგზოგენური (გარედან) მიდგომით.

ასეთი ხედვის არასრულყოფილება ნათლად გამოჩნდა 80-იანი წლების ბოლოსათვის, როცა აშკარა გახდა, რომ ასობით მილიარდის ინვესტირებამ მექანიკურ გამოთანაბრებაში სასურველი ეფექტი ვერ მოიტანა. XX საუკუნის 90-იან წლებში იწყება პოლიტიკის კორექტირება. ყალიბდება ახალი ხედვა, რომლის თანახმადაც საჭიროა ყველა დონეზე ადგილზე გაჩნდეს განვითარების მამოძრავებელი ძალები (მცირე და საშუალო ბიზნესი, აკადემიური წრეები, სამოქალაქო საზოგადოება და ინტერესთა ჯგუფები), რომლებიც თავად იქცევიან ადგილობრივი განვითარების მთავარ მოქმედ აქტორებად. ეს მიდგომა ენდოგენური, "ქვემოდან ზემოთ" (bottom-up) პროცესის სახელითაა ცნობილი.

განვითარების ამ მოდელისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ინსტიტუციური წარმონაქმნების, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალური აქტორების გაძლიერება, რომლებიც უფრო მეტად არიან მოტივირებული ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესებით.

XXI საუკუნის დასაწყისიდან ნათელი ხდება, რომ მხოლოდ ადგილობრივი სტრუქტურების როლის ზრდა, პროცესში საზოგადოების სრული ჩართულობის გარეშე, ვერ იძლევა სათანადო შედეგს. აუცილებელი ხდება არა მარტო ჩართულობის მექანიზმების ჩამოყალიბება, არამედ ადამიანთა მოტივაციის ზრდა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი განვითარების პროცესში, რათა უკეთ დაიცვან ლოკალურად არსებული ცხოვრების ტრადიციული წესი. ეს შექმნის ადგილობრივი თავისებურებების ეფექტური გამოყენების მეშვეობით მდგრადი და სტაბილური განვითარების წინაპირობას.

მდგრადი, ინდოგენური, ინკლუზიური ზრდის კონცეფცია ემყარება პრაგმატულ რწმენას, რომ შედარებით თანაბარი საზოგადოების არსებობა ყველას ინტერესშია, რადგან გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობისთვის იგი უფრო მდგრად და უსაფრთხო პირობებს ქმნის.

ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების სწორი შერჩევა და მათი სწორი ურთიერთქმედება.

დღეისათვის საჯარო ხელისუფლების დომინანტი მოდელთან, წარმომადგენლობით (საარჩევნო) დემოკრატიასთან ერთად საჯარო შეხვედრები და კამპანიები, სამოქალაქო ინიციატივები, საინფორმაციო პლატფორმები განიხილება დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად.

2.1.2. საერთაშორისო ნორმები

ჩართულობის მექანიზმების კლასიფიცირება სცდება სამეცნიერო დისკუსიების სფეროს და თანდათან პოლიტიკის ინსტუმენტი ხდება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული მოდელი გამოყოფს საზოგადოებრივი მონაწილეობის სამ დონეს:

1. ინფორმირება ანუ ცალმხრივი კავშირი - ურთიერთობა, როცა ხელისუფლება საკუთარი ინიციატივით (პროაქტიულად) ან მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე, ავრცელებს ინფორმაციას (საჯარო ჩანაწერები/რეესტრი, სამთავრობო ინტერნეტ რესურსები და სხვა);

2. კონსულტირება ანუ შეზღუდული ორმხრივი კავშირი - პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელისუფლება ითხოვს და მოქალაქეთა მხრიდან იღებს უკუკავშირს კონსულტირების (შეზღუდული ორმხრივი კომუნიკაციის) შედეგად (კომენტარები საკანონმდებლო პროექტებზე, ბიუჯეტის პროექტის განხილვა, საზოგადოებრივი აზრის კვლევები და ა.შ.);

3. აქტიური მონაწილეობა ანუ განვითარებული ორმხრივი ურთიერთობა - მოქალაქეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გადაწყვეტილებების შესაძლო გზებზე დიალოგის პროცესში: მოქალაქეები ხელისუფლებას აწვდიან მოსაზრებებს (სამუშაო ჯგუფები, საკონსულტაციო საბჭოები და სხვა; საზოგადოება ჩართულია როგორც ალტერნატივების განხილვის, ისე ამ ალტერნატივათა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში და უფრო მეტიც, მას გააჩნია გარკვეული უფლებამოსილებაც ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პროექტების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება).

2.1.3. მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალდებულებები

მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტების რეგულირების შემდეგ საფეხურს საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხს:

- მდგრადი განვითარების პროცესში საკონსულტაციო ჯგუფისა და დიალოგის ფორუმის ფუნქციონირება (კარი IV, თავი 13, მუხლები 240, 241, 243);
- სამოქალაქო საზოგადოების სფეროში თანამშრომლობა (კარიVI, თავი 20, მუხლები 369-371);
- სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ფუნქციონირება (კარი VIII, თავი 1, მუხლები 412-413).

იმ დოკუმენტებს შორის, რომელიც უშუალოდ შეეხება საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს, ასევე უნდა აღინიშნოს ევროსაბჭოს შესაბამისი მარეგულირებელი და ინსტიტუციური მექანიზმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის (CETS № 122, 1985) დამატებითი ოქმი (CETS No.207, 2009);
- მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციები (2017 და 2018 წლები);
- საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული სფეროების მარეგულირებელი კონვენციები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი

(CETS No.207, 2009), უტრეხტი, 16 ნოემბერი, 2009

"ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის უფლების თაობაზე", (რომელსაც საქართველო შეუერთდა 2019 წლის 29 მაისს), 7 მუხლს შეიცავს და შეეხება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხს.

პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის უფლება წარმოადგენს ევროპული თანამეგობრობის საერთო, და უპირატესი მნიშვნელობის მქონე, პრინციპს.

ხელმომწერი ქვეყნების ვალდებულებების ჩამონათვალი მოცემულია 1-3 მუხლებში:

- ადგილობრივ თვითმმართველობებს კანონმდებლობით უნდა მიენიჭოთ უფლებები, რაც უზრუნველყოფს ყველა პირის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას;
- აღიარებულია მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში. ნებისმიერი პირობა და შეზღუდვა (თუ ასეთი არსებობს) საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს;
- თვითმმართველობებისათვის შესაბამისი უფლებამოსილების გადაცემის გზით, პრაქტიკაში უნდა ამოქმედდეს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება;
- შესაბამისი პროცედურებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა კატეგორიის მოქალაქის საკონსულტაციო პროცესებში ჩართვა (მოქალაქეებთან ყველაზე ახლო დონეზე); ოფიციალურ დოკუმენტებთან წვდომა; წინადადებებზე რეაგირება და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოქალაქეებთან კონსულტაციები დროულად და სათანადო დონეზე უნდა ჩატარდეს.

მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული "პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო"

(CM(2017)83-final), 1295 შეხვედრა, სტრასბურგი, 27 სექტემბერი, 2017

სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს ინდივიდების და და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერებას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დოკუმენტში განსაზღვრულია სამოქალაქო მონაწილეობის საფუძვლები (თავი IV) კერძოდ აღნიშნულია, რომ:

- მონაწილეობა გარანტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტრუქტურირებული საშუალებებით, მათ შორის იურიდიული მექანიზმებით;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპი ღია უნდა იყოს სამოქალაქო მონაწილეობისთვის;
- ინფორმაცია უნდა იყოს საზოგადოებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი,
- ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული დროულად, რაც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს შესწორებები შეიტანოს პროექტებში;
- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შემოთავაზებული ინსტრუმენტის მიზნები, მონაწილენი, პროცდურა, ვადები და მეთოდები;
- ხელისუფლებამ უნდა გაწიოს პროცესის ფასილიტაცია და თავიდან აიცილოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი;
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პროცესში ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის მაქსიმელური ჩართულობა;
- ხელისუფლების მიერ საბოლოო გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მიღებული სამოქალაქო მონაწილეობის პროცესის დასრულებამდე.

სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებად განსაზღვრულია (თავი V) ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაცია, დიალოგი და აქტიური ჩართულობა:

- *ინფორმაციის მიწოდება* - ყველა სახის ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ადვილად გასაგები ენით, ხელმისაწვდომი ფორმატით, ადმინისტრაციული დაბრკოლებების გარეშე და უფასოდ;
- *კონსულტაცია* - მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის ხედვების შეგროვებას, რაც უნდა განხორციელდეს შეხვედრების, საჯარო მოსმენების, ფოკუს ჯგუფების, გამოკითხვების

და ციფრული საშუალებებით. კონსულტაციის შედეგები და ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება საჯარო უნდა იყოს;

- *დიალოგი* - უნდა არსებობდეს სტრუქტურირებული, გრძელვადიანი და შედეგზე ორიენტირებული პროცესი, მონაწილე მხარების მიერ შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა პლატფორმების - მუდმივი დიალოგის სივრცის შექმნა (რეგულარული საჯარო განხილვები, ფორუმები, საკონსულტაციო საბჭოები და ა.შ.);
- *აქტიური მონაწილეობა* - გულისხმობს მოქალაქეთა შესაძლებლობას, ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში (სამუშაო ჯგუფები, კომიტეტები და ა.შ.). ასეთი სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გამჭვირვალე კრიტერიუმები და პროცდურები გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპისათვის.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია "საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ"

(CM/Rec(2018)4), 1311 შეხვედრა, სტრასბურგი, 21 მარტი, 2018

რეკომენდაცია მოიცავს ძირითად პრინციპებს და კონკრეტულ ნაბიჯებს სახვადასხვა მიმართულებით. მ.შ. აღსანიშნავია:

<u>ა. მონაწილეობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები</u>

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

2. მოძებნონ ახალი გზები სამოქალაქო შეგნების ასამაღლებლად და თემებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის პოპულარიზაციისთვის;

3. წაახალისონ მოქალაქეები, აიღონ პასუხისმგებლობა და წვლილი შეიტანონ თავიანთი თემების ცხოვრებაში;

12. აღიარონ მოქალაქეთა ჯგუფების, როგორც მონაწილეობის კულტურის განვითარებაში ძირითადი პარტნიორების როლი.

<u>ბ. ეტაპები და მექანიზმები</u>

<u>I. ზოგადი ნაბიჯები</u>

3. ადგილობრივმა ხელისუფლებებმა სამეზობლო დონეზე უნდა დანერგონ მონაწილეობითი მექანიზმები;

6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაქსიმალური გამჭვირვალობა ხელისუფლების საქმიანობაში (გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ღიაობა, მოქალაქეთა წვდომა ინფორმაციაზე და ა.შ.);

7. განხორციელდეს სრულფასოვანი საკომუნიკაციო პოლიტიკა, რათა მოქალაქეებმა შეძლონ გააცნობიერონ ხელისუფლების გადაწყვეტილებების შედეგები.

<u>III ნაბიჯები მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისების მიზნით</u>

5. მოქალაქეებს მიეცით მეტი შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ სტრატეგიულ და გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე (მონაწილეობა პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე, საზოგადოებისთვის იოლად აღსაქმელი მასალის საშუალებით;

6. შეიქმნას უკუკავშირის სისტემური მექანიზმები (გამოკითხვები, მომხმარებლის პანელები და ა.შ.);

9. შეიქმნას მონაწილეობითი სტრუქტურები სამეზობლოებში, რაც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს გავლენა მოახდინონ მომსახურების მიწოდების პროცესზე, აიღონ პასუხისმგებლობა ადგილობრივი ფართების, ობიექტების მენეჯმენტზე და ა.შ.

IV კონკრეტული ნაბიჯები და ზომები მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების წახალისების მიზნით

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროცესში ქალების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვას.

ორჰუსის კონვენცია

საზოგადოებრივ სივრცეებთან დაკავშირებული საკითხისათვის საყურადღებოა ორჰუსის კონვენცია "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსი, დანია, 25 ივნისი, 1998), რომელსაც საქართველო 2001 წლის 30 ოქტომბერს შეუერთდა.

კონვენცია ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; საზოგადოების მონაწილეობა; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

კონვენციაში დადგენილია მინიმალური სტანდარტები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

- მონაწილეობენ არა მხოლოდ დაინტერესებული მხარეები, არამედ დაინტერესებული საზოგადოება;
- მოქალაქეთა მონაწილეობა შესაძლებელი უნდა იყოს საწყისი ეტაპზევე, როდესაც არსებობს პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა
- დადგენილი უნდა იყოს მონაწილეობის გონივრული ვადები;
- საზოგადოება დროულად უნდა იყოს ინფორმირებული;
- საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები.

2.1.4. სხვა საერთაშორისო შეთანხმებები და დოკუმენტები

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საკითხს არეგულირებს რიგი დირექტივების, რეკომენდაციებისა და ანგარიშებისა, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუტის მიერაა მიღებული. მათ შორის აღსანიშნავია:

I. ევროპის საბჭო

- ევროპის საბჭოს კონვენციები:
  1. ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია (ETS 5),
  2. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია (ETS No. 122),
  3. ევროპული კონვენცია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიულ პირებად აღიარების შესახებ - ETS No. 124,
  4. კონვენცია ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ ETS 144,
  5. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია ETS 148,
  6. ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დასაცავად ETS 157,
  7. ევროპის სოციალური ქარტია ETS No. 163 (შესწორებული),
  8. ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომის შესახებ CETS No. 205;

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 9 დეკლარაცია, ასევე 21 რეკომენდაცია, რეზოლუცია და სახელმძღვანელო მითითება;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 9 რეზოლუცია და რეკომენდაცია;
- ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის ქარტიები:
  1. კონგრესის ევროპული ურბანული ქარტია II: მანიფესტი ახალი ურბანიზმისთვის (2008),
  2. განახლებული ევროპული ქარტია ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ (2003);
- ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის 2 რეზოლუცია;
- სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად ევროპული კომისიის (ვენეციის კომისია) 2 გზამკვლევი;
- დემოკრატიისა და მმართველობის ევროპული კომიტეტის (CDDG) ანგარიში "სამოქალაქო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში", ECNL-COE (2016).

II. ევროკავშირის დოკუმენტები

1. ევროპული საზოგადოების შექმნის შესახებ ხელშეკრულებაში დამატების შეტანის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების დანართი (2007 / C306 / 01);
2. ევროკომისიის ძირითადი პრინციპები და მინიმალური სტანდარტები დაინტერესებული მხარეების კონსულტაციისთვის (COM / 2002/0704);
3. ევროპული საზოგადოებების კომისიის თეთრი წიგნი ევროპული მმართველობის შესახებ (COM / 2001/428).

III. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

- გაეროს კონვენციები:
  1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (CCPR 16/12/1966, ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან),
  2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 5 რეზოლუცია და რეკომენდაცია.

აღნიშნული დოკუმენტები მხოლოდ ნაწილია იმ სარეკომენდაციო თუ ნორმატიული ბაზისა, რაც მოქალაქეთა მონაწილეობას შეეხება. ეს ნათლად გვიჩვენებს ყურადღების იმ ხარისხს, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობა საზოგადოებრივი ჩართულობის საკითხს უთმობს.

2.2. ეროვნული კონტექსტი

2.2.1. კანონმდებლობით განსაზღვრული მონაწილეობის მექანიზმები

საქართველოში, ისევე როგორც სხვა გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, მეტად დაბალია როგორც სამოქალაქო ინიციატივების, ისე საჯარო სტრუქტურების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ხარისხი.

ამ გამოწვევაზე რეაგირების მიზნით ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს რიგ მექანიზმებს, თუმცა მათი გამოყენება არათანაბრად ხდება სხვადასხვა თვითმმართველი ერთეული მიერ. როგორც წესი, ამ მხრივ შედარებით აქტიურია სასოფლო დასახლებების

მოსახლეობა, ხოლო ურბანულ ცენტრებში, მათი სიდიდიდან გამომდინარე, აღნიშნული მექანიზმები ნაკლებად არის გამოყენებული.[2]

კანონმდებლობით დადგენილი ჩართულობის ფორმების დეფინიცია მოცემულია საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" XI თავში (მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში).

გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ისეთი ვალდებულებებისა, როგორიცაა:

- მოქალაქთა უფლება, თავისუფლად დაესწრონ საკრებულოს სხდომებს და სხდომის წამყვანის თანხმობით გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები;
- თვითმმართველობის ორგანოების არჩეული თანამდებობის პირთა (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს წევრი) ვალდებულება, მინიმუმ წელიწადში ერთხელ წარდგნენ ამომრჩეველთა წინაშე ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშით;

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კონკრეტულ მექანიზმებს.

<u>დასახლების საერთო კრება</u>

თბილისში დასახლების საერთო კრების არსებობისა და ფუნქციონირების ნორმების დადგენა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დისკრეციას მიეკუთვნება. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასაწყვეტია თბილისში დასახლების საერთო კრების შექმნის საკითხი. არსებული მდგომარეობით, ქალაქ თბილისში არ არსებობს დასახლების საერთო კრება/კრებები.

<u>პეტიცია</u>

კანონით პეტიციის წარდგენის უფლება გააჩნია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მინიმუმ 1%-ს. თბილისისათვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 10000 ადამიანს შეადგენს, რაც კონკრეტულ საკითხზე პეტიციის წარდგენისათვის მეტად მაღალი მაჩვენებელია (ცესკოს თანახმად, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის თბილისში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო ოდენობა 1,003,353 შეადგენს. https://bit.ly/3r2G6WV).

ამავე დროს, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ნორმატიული ბაზა არ ითვალისწინებს პეტიციის 1%-ზე ნაკლები რაოდენობის ამომრჩევლის მიერ, აგრეთვე ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას და წესს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2018-2020 წლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

რაც შეეხება ელექრტრონულ პეტიციებს, ცალკეული ინიციატივები Manifest.ge-ზე არის წარმოდგენილი, თუმცა ხელისუფლება, შესაბამისი რეგულაციების არარსებობის პირობებში, არ არის ვალდებული განიხილოს ასეთი პეტიციები და მათი გათვალისწინება მხოლოდ კეთილი

[2] მონაცემები აღებულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული მრჩეველთა საბჭოს ფარგლებში დამუშავებული მასალის საფუძველზე, რომლის თანახმადაც რაც უფრო მცირეა ადმინისტრაციული ერთეული, უფრო მაღალია მოქალაქეთა აქტივობა (დასახლების საერთო კრებები უფრო აქტიურად მოქმედებს მცირე, ვიდრე დიდ სოფლებში, ამომრჩეველთა აქტივობაც უფრო მაღალია მცირე მოსახლეობის საარჩევნო ოლქებში). მასალა მრჩეველთა საბჭოს სამუშაო პროცესში იყო შექმნილი და არ არის გამოცემული.
გარდა აღნიშნულისა, ანალოგიური კვლევები ტარდებოდა ევროპის ქვეყნებშიც ევროპის საბჭოს ეგიდით, სადაც მუნიციპალიტეტების ზომის მოსახლეობის აქტივობასთან კორელაცია განიხილება. მათი ნაწილი განთავსებულია ევროსაბჭოსა და შესაბამისი კვლევითი ორგანიზაციების ვებსაიტებზე.

ნების საფუძველზე ხდება (მაგალითად 2019 წელს მერიის მხრიდან მოხდა რეაგირება 3 ათასზე მეტი მოქალაქის მოთხოვნაზე თბილისის ქუჩების გარეცხვასთან დაკავშირებით).

<u>მერის/გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო</u>

დედაქალაქის მერის დონეზე ასეთი საბჭო არ არსებობს. ერთადერთი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით არის განცხადება, რითაც თბილისის მერია უარყოფს ინფორმაციას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ (თბილისის მერიის განცხადება, 9 მარტი, 2015, http://www.tbilisi.gov.ge/news/255). გარდა ამისა, მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, არ დგინდება მერის მრჩეველთა საბჭოს შექმნა.

რაც შეეხება თბილისის რაიონების გამგეობებს, თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაცის თანახმად, საბჭოები შექმნილია და ფუნქციონირებს 10-დან 5 რაიონში (საბურთალო, გლდანი, ისანი, ნაძალადევი, ჩუღურეთი). როგორც სხდომის ოქმებიდან ირკვევა, საბჭოებზე, როგორც წესი, განიხილება გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები, მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები, ხოლო მრჩეველთა საბჭოს მიერ საკუთარი ინიციატივით საკითხების განხილვა და გამგეობებისთვის წინადადებების/ინიციატივების წარდგენა იშვიათად ხდება. ზოგჯერ ინფორმაცია საბჭოებისთვის გამგეობების მიერ განხორციელებული ანგარიშების წარდგენის შესახებ გამგეობის facebook გვერდზე ვრცელდება (გლდანი).

<u>ინფორმაციის ხელმისაწვდომობა</u>

თბილისის მუნიციპალური ორგანოებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია, როგორც შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციაში მატერიალური ფორმით განცხადების წარდგენის გზით, ისე ელექტრონული რესურსის გამოყენებით.

2018 წლის მონაცემებით, თბილისის მერიასა და საკრებულოში წარდგენილი იყო 3988 მიმართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, ხოლო 2019 წლისათვის - 3463 ანალოგიური განცხადება (ინფორმაციის თავისუფლების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ყოველწლიური ანგარიშები, https://matsne.gov.ge: https://bit.ly/2Wlb2Uh; https://bit.ly/2LOeDIx; https://bit.ly/3oVnAO8; https://bit.ly/2WrQ3yQ).

თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია თბილისის საკრებულოსა და მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი (საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-109 დადგენილება).

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს/მერიის ვებ-გვერდებზე მეტწილად გამოქვეყნებულია საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თუმცა საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაციის ნაწილი არ არის გამოქვეყნებული, ან არ ხდება მისი ნაწილის სისტემურად გამოქვეყნება.

დადგენილი სტანდარტის მიხედვით საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაბამისად საკრებულოს ან მერიის ვებ-გვერდზე (www.sakrebulo.ge; www.tbilisi.gov.ge) წერილობითი განცხადების წარდგენის გზით. მართალია ამ ვებ-გვერდებს არ გააჩნიათ შესაბამისი ფუნქციონალი, თუმცა შესაძლებელია მოთხოვნის ელექტრონული განცხადებების თვითმომსახურების პორტალის (my.municipal.gov.ge) მეშვეობით წარდგენა (ამასთან ამ შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და შტამპის გაკეთება, რაც საკმაოდ ზღუდავს სერვისით მოსარგებლეთა წრეს), ან განცხადებების შესაბამის ელ-ფოსტაზე გაგზავნა.

2.2.2. სამოქალაქო ჩართულობის სხვა/დამატებითი მექანიზმები

ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მუნიციპალიტეტებს ანიჭებს უფლებას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში თავად დააგდინონ და გამოიყენონ მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი მექანიზმები.

თბილისის მუნიციპალიტეტში არსებობს სამოქალაქო მონაწილეობის რიგი ფორმალური ან არაფორმალური მექანიზმები.

ბინების/სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობები

აღნიშნული გაერთიანებები ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით ახორციელებენ ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტებს (2018 წელს განხორციელდა 1256 პროექტი, ჯამური ღირებულება - 14066645 ლარი) (Baseline Study on Existing Mechanisms and Practice, Opportunities and Capacities for Civil Participation in Tbilisi, Supporting Citizen Participation in Tbilisi, A Council of Europe project (2554), გვ.10)

სოციალური ქსელები

თბილისის მერია აქტიურად იყენებს თავის Facebook გვერდს, რომელზეც მერი პერიოდულად ავრცელებს ინფორმაციას. მაგალითისათვის გამოდგებს გამოკითხვა "მწვანე ან ვერცხლისფერი? - რა ფერის უნდა იყოს ახალი ავტობუსები?", რომელშიც 27100 მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, თუმცა ეს პროცესი არ იყო მხარდაჭერილი რაიმე ფორმალური პროცედურით (Facebook-Tbilisi City Hall: https://bit.ly/2YOCbBX; https://www.facebook.com/CityHallofTbilisi/posts/2412839525399300?__tn__=-R).

სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს საპროტესტო აქციები, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი და ურბანული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიზნით მოქალაქეები არაფორმალურ ჯგუფებს ქმნიან და ძირითადად სოციალურ ქსელებს იყენებენ. მაგალითისათვის გამოდგება:

- დიდი დიღომის Facebook ჯგუფი (17000-ზე მეტი წევრი), რომლებმაც მოახერხეს შეეჩერებინათ მშენებლობის ნებართვა დიდი დიღმის ერთ-ერთ პარკში.
- ვაკის პარკის შემთხვევა, როცა მოქალაქეები 2013 წლის შემდეგ აპროტესტებდნენ ახალი სასტუმროს მშენებლობას და წრამატებას მიაღწიეს.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI Georgia) და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) კვლევების თანახმად (https://www.transparency.ge/en/post/third-those-surveyed-think-local-self-government-bodies-do-not-express-their-interests) მოქალაქეები ყველაზე მეტად უკმაყოფილონი არიან უსახლკარო ცხოველების პრობლემით (56%), ასევე პარკებისა და მოედნების ნაკლებობით, ქუჩის ინფრასტრუქტურის ხარისხით (46% -46%).

2.2.3. თბილისში მწვანე სივრცეების დაგეგმვაში სამოქალაქო მონაწილეობის გამოცდილება

ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის რეკრეაციული სივრცეების დაგეგმვაში მონაწილეობის სამოქალაქო ჩართულობის პლატფორმა.

დედაქალაქში ახალი სარეკრეაციო სივრცეების განვითარებისა და პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის საბჭოს დახმარებით, თბილისის მერიამ 2019-2020 წლებში, გლდანის პატარა ტბის მიმდებარე ტერიტორიის რეკრეაციის საპილოტე პროექტი განახორციელა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო მონაწილეობის საკონსულტაციო პლატფორმა (ჯგუფი), რომელშიც ჩართული იყო მუნიციპალიტეტის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის წარმომადგენლები. სამოქალაქო პლატფორმა მონაწილეობდა იდეების გენერირების, მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების გამართვისა და მოსახლეობის მოსაზრებების/იდეების შეგროვება-განხილვის

პროცესში. პლატფორმის ინსტრუმენტის გამოყენებით გაიმართა საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან, თუმცა მის საქმიანობას საფუძვლად არ ედო მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმალური წესები და პროცედურები.

სამოქალაქო პლატფორმის მუშაობის პროცესში რიგი გამოწვევები გამოიკვეთა:

- პარკების განაშენების, და მსგავსი, პროექტების განხორციელებისას რთული იყო მოსახლეობისა და სხვა (არასამთავრობო სექტორის ჩათვლით) დაინტერესებული მხარეების მოზიდვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა. დაბალი იყო მოსახლეობის ინტერესი და მიუხედავად ინფორმაციის გავრცელებისა (სოციალური მედია, გამგეობების დახმარება, პირადი სატელეფონო ზარები და ბანერები), ღონისძიებაზე მოქალაქეთა მცირე ოდენობა მოვიდა (მაგალითისთვის, GIZ-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის).
- არასამთავრობო სექტორის შემთხვევაში, პროექტის საწყის ეტაპზე მათი შეკრება მოხერხდა, თუმცა შემდგომი აქტიურობა დაბალი იყო. გლდანის ტბის პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე პროცესში ჩაერთვნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, გაეცნენ პროექტს, თუმცა შემდგომ მათი მონაწილეობა შესუსტდა ან/და შეწყდა.
- იგივე სურათია აკადემიურ წრეებთან მიმართებით, თუმცა პროცესიდან გათიშვის მიზეზად, პროცესის ზოგიერთი მონაწილის მიერ სახელდება ხელისუფლებასთან ასოცირების რისკისგან თავის არიდება.

აღნიშნული პროექტის განხორციელებამ აჩვენა, რომ პარკების დაგეგმარების ან რეკონსტრუქციის საწყის ეტაპზევე საჭიროა კონკრეტული, შესაბამისი სამიზნე ჯგუფ(ებ)ის იდენტიფიცირება (მოზარდები, ხანდაზმულები და ა.შ.) და მათი ჩართვა დაგეგმარების პროცესში, რათა მაქსიმალურად გამართლდეს მათი მოლოდინი შემოთავაზებული გეგმებთან და დიზაინთან დაკავშირებით.

შესაბამისად უწყებამ, რომელიც იწყებს დაგეგმარების პროცესს, თავიდანვე უნდა მოიზიდოს დაინტერესებული ჯგუფები, რაც შემდგომში კომუნიკაციის ნაკლებობის შედეგად შესაძლო პრობლემების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტული გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისე საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებს საზოგადოების კონსულტაციის პროცესში მონაწილეობის ყველაზე მოსახერხებელ გზად ისეთი დროებითი ჯგუფების შექმნა მიაჩნიათ, რომლებიც შესაბამისი არეალის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ.

3. სამოქალაქო მონაწილეობის პლატფორმა

3.1. პლატფორმის საქმიანობის სფერო

2020 წელს ევროპის საბჭო, თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად იწყებს "თბილისის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერების პროექტის" განხორციელებას. პროექტის მიზანია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის რეალური ამოქმედება და ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგისა და თანამშრომლობის განმტკიცება.

ამ მიზნით იგეგმება **მდგრადი მონაწილეობის მექანიზმის - საკონსულტაციო პლატფორმის** შექმნა, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საქალაქო პარკებისა და სკვერების რეაბილიტაციის ინიციატივების განხილვის მიზნით.

იმ ფონზე, როდესაც სამოქალაქო ჩართულობისა და კონსულტაციის პროცესი ჯერ კიდევ არ არის პოპულარული საზოგადოებაში, პლატფორმა იქნება ინოვაციური მექანიზმი და შესაძლებლობა, საზოგადოებას გააცნოს თბილისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მწვანე სივრცეების რეაბილიტაციის პროექტები და მოქალაქეებისაგან მიიღოს შენიშვნები და რეკომენდაციები ამ პროექტების უკეთ განხორციელების მიზნით.

პროექტი გეგმავს შექმნას თანამშრომლობის პლატფორმის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო (თბილისის მერიის მიერ დამტკიცებული და ამოქმედებული წესები/დებულებები), რათა უზრუნველყოფილი იყოს პლატფორმის საქმიანობაში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ხედვების წარმოდგენა. ამავე დროს წესებში უნდა განისაზღვროს პლატფორმის პროცედურები, ნაბიჯები და ღონისძიებები.

პერსპექტივაში პლატფორმა უნდა გახდეს საჯარო კონსულტაციების მდგრადი მექანიზმი ადგილობრივ ხელისუფლებას და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის პროცესში.

პლატფორმა უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამჭვირვალობას და მჭიდროდ ითანამშრომლებს მასმედიასთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომუნიკაციის ციფრული და ელექტრონული საშუალებების გამოყენებას, რომლებიც საუკეთესო გამოსავალი აღმოჩნდა Covid19-ის გამოწვევების გათვალისწინებით.

პლატფორმამ უნდა შექმნას გადაწყვეტილების მიღების მონაწილეობითი მექანიზმების გაღრმავების შესაძლებლობა და მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაწილეობის მექანიზმები.

მონაწილეობის მექანიზმებმა უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების დაცვა ადგილობრივი ურბანული მწვანე სივრცის განვითარების კონკრეტულ პროექტებში.

პლატფორმაზე განსახილველ პროექტებს მერია აირჩევს ქალაქის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ბევრად უკეთესია, თუ კი გადაწყვეტილების მიმღები პირები უზრუნველყოფენ კონსულტაციის პროცესში განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების ან/და ადამიანთა ჯგუფის ჩართვას, ვიდრე მათ საკოსულტაციო პროცესის მიღმა დატოვებას და განსახილველი პროექტის/ინიციატივისადმი უკვე არსებული უარყოფითი განწყობების გაღრმავებას.

გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, ასეთმა ადამიანებმა თუ საზოგადოებრივმა ჯგუფებმა შემოგვთავაზონ ალტერნატიული, გონივრული ხედვები და თავიანთი გამოცდილებით ან რესურსებით მონაწილეობა მიიღონ პროექტების განხორციელების პროცესში.

პლატფორმა, წარმატების შემთხვევაში, რეალურად იქნება მონაწილეობითი დემოკრატიის საფუძველი, რაც OECD-ის კრიტერიუმებით, აქტიური მონაწილეობის უმაღლეს, მესამე დონეს (აქტიური მონაწილეობა ანუ განვითარებული ორმხრივი ურთიერთობა) წარმოადგენს.

3.2. პლატფორმის პრინციპები

ევროსაბჭოს დოკუმენტებისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო მონაწილეობის პროცესში დაცული უნდა იყოს რამდენიმე ძირითადი პრინციპი:

1. მონაწილეობის ინსტრუმენტების შემოღების მიზანია ტერიტორიული თემების საზოგადოების უფლებების განხორციელების მექანიზმის შექმნა;
2. პროცედურის სიცხადე - უფლებებისა და პასუხისმგებლობის განმარტება ნათელი უნდა იყოს;
3. სიმარტივე - აქტივობები მინიმალურად მცირე უნდა იყოს. იმდენი, რამდენიც პრაქტიკული საჭიროებითაა გამოწვეული;
4. უნდა არსებობდეს მოქალაქეთა მონაწილეობის მოხერხებული პროცედურები;
5. შესაბამისი დრო - პროცესი უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში, რაც საკმარისი უნდა იყოს საზოგადოების აქტიურობისათვის და ამასთან, დისკუსიამ არ დაკარგოს აქტუალობა;
6. საჯაროობა - მოქალაქეთა ინფორმირება უნდა მოხდეს აქტივობების განხორციელების თითოეულ ეტაპზე;
7. გამჭვირვალობა - მონაწილეობის მექანიზმებმა რეალური გავლენა უნდა მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
8. შესაბამისი რესურსები - მონაწილეობის მექანიზმების დანერგვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციული, ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით;
9. ნორმატიულად (სამართლებრივად) უნდა განისაზღვროს, რა შემთხვევებში ექვემდებარება მონაწილეობის ინსტრუმენტი სავალდებულო ამოქმედებას;
10. კოორდინაცია - ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა ინსტრუმენტის ოპტიმალური გამოყენება - არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ ინსტრუმენტის სასარგებლოდ, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას და განსახილველი საკითხის მნიშვნელობის ადეკვატური და პროპორციულია;
11. ანგარიშვალდებულება - საჯარო ხელისუფლება ანგარიშს უნდა უწევდეს საზოგადოებრივ აზრს და უნდა შექმნას შიდა და გარე მონიტორინგის შესაძლებლობა;
12. პასუხისმგებლობა - განსაზღვრული უნდა იყოს პროცედურების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის კონკრეტული მექანიზმები.

ევროპული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მრავალი მუნიციპალიტეტი ხშირად ამკვიდრებს და იყენებს რთულ და მოუქნელ პროცედურებს, რაც ხელს უშლის მოქალაქეებს გადაწყვეტილების მიღებაში, იწვევს მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმის ეფექტურობის შემცირებას და საზოგადოების ნდობის შემცირებას საჯარო ინსტიტუტებისადმი.

სწორედ ამიტომ საჯარო კონსულტაციების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. როდის უნდა გაიმართოს კონსულტაცია? - კონსულტაცია უნდა ჩატარდეს იმ ეტაპზე, როდესაც არსებობს შესაძლებლობა გამოთქმულმა მოსაზრებებმა გავლენა იქონიონ პოლიტიკის შედეგებზე;
2. რა დროის განმავლობაში მიმდინარეობს საკონსულტაციო პერიოდი? - კონსულტაციები ჩვეულებრივ გრძელდება მინიმუმ 4 კვირის განმავლობაში, თუმცა რეკომენდებულია პროცესის გახანგრძლივება, სადაც ეს შესაძლებელია;
3. რამდენადა ნათელია პროცედურები? - დოკუმენტაცია კონსულტაციის პროცესის, შემოთავაზების, მოსალოდნელი ხარჯებისა და სარგებელის შესახებ უნდა იყოს მკაფიო;
4. რამდენად ხელმისაწვდომია საკონსულტაციო პროცესი? - პროცესში ჩართვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის, ვისთვისაც ისაა გამიზნული;

5. რამდენად რთულია კონსულტაციები? - კონსულტაციის ტვირთი მინიმუმამდე უნდა იყოს შემცირებული, რათა პროცესი და მისი შედეგები მაქსიმალურად ეფექტური იყოს;
6. როგორია რეაგირება კონსულტაციებზე? - კონსულტაციის შედეგები ყურადღებით უნდა იქნას გაანალიზებული და კონსულტაციის შემდეგ მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ მკაფიო უკუკავშირი;
7. რამდენად უნარიანია კონსულტაციები? - კონსულტაციების წარმმართველ ოფიციალურ პირებს უნდა გააჩნდეთ ეფექტური კონსულტირებისა და შედეგების ურთიერთგაზიარების უნარი.

3.3. პლატფორმის საქმიანობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა

გზამკვლევში პარკი განიმარტება დოკუმენტის "სარეკრეაციო სივრცეების განვითარების სტანდარტი თანასწორუფლებრივი სარგებლობის უზრუნველსაყოფად" (http://tbilisi.gov.ge/img/original/2019/10/23/47.pdf) მიხედვით.

პარკების დეფინიცია განსხვავდება ურბანული (მჭიდროდ დასახლებული) და არაურბანული ზონებისათვის.

ურბანული ტერიტორიებისთვის პარკის ცნება მოიცავს:

- სკვერი (მინი პარკი); მცირე, პარკის მაგვარი სივრცე შენობებს შორის და მათ გარშემო, ყველასთვის ხელმისაწვდომი, 500კვ. - 1000 კვ.მ ფართობით;
- სამეზობლო/თემის (ადგილობრივი) პარკი; შეზღუდული წვდომის მწვანე არეალი ბალახით, ხეებით და ბუჩქნარით მაღალი ინტენსივობის /სიმჭიდროვის განაშენიანების ფარგლებში, დაახლოებით 1000-5000 კვ.მ ფართობით;
- ურბანული პარკი; განაშენიანების ფარგლებში არსებული ყველასთვის ხელმისაწვდომი გამწვანებული სივრცე სარეკრეაციო ფუნქციებით, 0.5 -3 ჰექტარამდე;
- დიდი ურბანული პარკი; მაგალითად, 9 აპრილის პარკი, 9 მარტის პარკი, დედაენის პარკი, პარკი მზიური, პარკი რიყეზე, კიკვიძის პარკი 3 ჰა და ზევით;

არაურბანული ტერიტორიებისთვის პარკის ცნება მოიცავს:

- ბოტანიკური ბაღი; ბუნებრივი და ნახევრად ბუნებრივი ლანდშაფტის მქონე გამწვანებული სივრცე, რომელიც გამოირჩევა მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებით და წარმოადგენს უნიკალური ფლორის და მიკროკლიმატის შემცველ სივრცეს;
- 5 ჰექტარზე მეტი ფართობი, ხშირ შემთხვევაში წყლის ობიექტთან სიახლოვეს მდებარე რეკრეაცია; მაგალითად, ლისის ტბა, კუს ტბა, გლდანის ტბა, თბილისის ზღვა, მთაწმინდის პარკი;
- ტყეპარკი ბუნებრივი ლანდშაფტით და მცენარეების ხშირი საფარით; მაგალითად, დიღმის ტყეპარკი, კრწანისის ტყეპარკი.

კონსულტაციების ინიცირებას ახდენს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს კონსულტაციების მექანიზმს, მიღებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.

პროცესის პროცედურები რეგულირდება თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წ,ლის 20 იანვრის N 21.8.12 განკარგულებით "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პარკების დაგეგმვის პროცესში საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის მიზნით საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის და მისი საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ".

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, სარეკრეაციო სივრცეების (მათ შორის პარკების) დაგეგმვის და განვითარების პროცესის კოორდინაცია-განხორციელებაზე პასუხისმგებელ

მერიის მთავარ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ფუნქციებია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილება, მუხლი 2.):

- მწვანე ლანდშაფტის დაცვის უზრუნველყოფა;
- ლანდშაფტის დიზაინის დამუშავება და არქიტექტურული პროექტების განხორციელება;
- ურბანულ გარემოში მწვანე ლანდშაფტების განვითარების ერთიანი სტანდარტის შემუშავება, პრაქტიკაში დანერგვა და განვითარების პროცესის მართვა;
- ქალაქგეგმარებით პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ურბანული ეკოსისტემების იდენტიფიცირება;
- მწვანე ინფრასტრუქტურის რეგულარული ზრდის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- მწვანე ქალაქის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ბუნებრივად წარმოადგენს საკონსულტაციო მექანიზმის მაკოორდინირებელ რგოლს. კერძოდ, მას უნდა გააჩნდეს კონსულტაციის მექანიზმის საერთო კოორდინაციის, საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობის ფორმირების/შერჩევის, აგრეთვე საკოორდინაციო ჯგუფის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის წარმართვის ფუნქცია.

პროცესში შეიძლება ასევე ჩართული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სხვადასხვა ერთეულები, ერთი მხრივ, საკოორდინაციო ჯგუფის წევრობის ფორმატში, ხოლო მეორე მხრივ, როგორც პროცესის წარმართვის ხელშემწყობი ერთეულები. კერძოდ:

- სსიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო" - სააგენტო წარმოადგენს თბილისის ტერიტორიების განვითარებასა და ურბანულ განახლებაზე პასუხისმგებელ მერიის რგოლს. კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს შემდეგი ფუნქციებით: საკოორდინაციო ჯგუფის წევრობა; საკონსულტაციო მექანიზმის მუშაობის ხელშეწყობა, არსებული ინფორმაციით/მონაცემებით უზრუნველყოფის გზით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობები - გამგეობა, როგორც ტერიტორიული ერთეული, პროცესში ჩართული უნდა იყოს შემდეგი ფუნქციებით: საკოორდინაციო ჯგუფის წევრობა; კონსულტაციების შესახებ ტერიტორიულ ერთეულებში ინფორმაციის გავრცელება და შეხვედრების ორგანიზება.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო" - პარკების დაგეგმვის საკონსულტაციო პროცესი საჭიროებს შესაბამის საინფორმაციო მხარდაჭერას და გარკვეული ინფორმაციის განთავსებას მერიის ვებ-გვერდზე (tbilisi.gov.ge). შესაბამისად, რეკომენდებულია ამ პროცესში სააგენტოს ჩართულობა, რომელიც წარმოადგენს ამ მიმართულებით პასუხისმგებელ ერთეულს, საკოორდინაციო ჯგუფთან და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან ერთად, სააგენტო ხელს შეუწყობს საკომუნიკაციო მექანიზმების მუშაობას, აგრეთვე თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდზე (tbilisi.gov.ge) ინფორმაციის განთავსებას.

3.4. პლატფორმის საზოგადოებასთან კონსულტირების ეტაპები

პარკის დაგეგმვისას საზოგადოების მონაწილეობის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. არსებული ინფორმაციის პირველადი ანალიზი;

2. პარკის დაგეგმვის კონკრეტული პროექტის საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმის გამოყენებით საზოგადოებრივი განხილვის გადაწყვეტილების ინიცირება მერიის მიერ;
3. პარკის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტების მომზადება და გავრცელება;
4. პარკის დაგეგმვის პროცესის მაკოორდინირებელი საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა;
   - საკოორდინაციო ჯგუფის პირველი ნაწილის დაკომპლექტება მერიის თანამშრომლებით;
   - მოსახლეობისა და ინტერესთა ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდება პროექტის მიზნების და ჯგუფის ფორმირების შესახებ;
   - მოსახლეობისა და ინტერესთა ჯგუფებიდან საკოორდინაციო ჯგუფში გაწევრიანების მსურველთა მოზიდვა;
   - საკოორდინაციო ჯგუფის მეორე ნაწილის დაკომპლექტება საზოგადოების წარმომადგენლებით;
5. აქტივობების განხორციელების კალენდარის შედგენა;
6. გამოსაყენებელი ტექნიკის, მექანიზმების, ინსტრუმენტების და ფორმატის განსაზღვრა;
7. საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფსა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ პროექტის საპრეზენტაციო ვერსიის მომზადება:
   - წარმოდგენილია პროექტის მიზანი და არსი,
   - მოცემულია პროექტის ძირითადი მახასიათებლები (ფუნქციური დატვირთვა),
   - ინფორმაცია მოწოდებულია მარტივი (მაქსიმალურად ვიზუალიზებული ფორმით);
8. მოსახლეობისა და ინტერესთა ჯგუფებისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის შემდგომი ინტენსიური მიწოდება:
   - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და საკოორდინაციო ჯგუფი (გზამკვლევის შესაბამისად) შეიმუშავებენ მარტივ კითხვარს, რომელიც შესაძლებელს გახდის მოხდეს საზოგადოებაში არსებული კონკრეტული შემოთავაზებებისა და ხედვების დაფიქსირება;
9. პარკის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა:
   - კონსულტაციები მოსახლეობასა და ინტერესთა ჯგუფებთან. კონკრეტული ხედვების/მოსაზრებებისა და რეკომენდაციების იდენტიფიცირება;
10. პარკის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში საზოგადოებასთან გამართული კონსულტაციების შედეგების განხილვა და ანალიზი:
    - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და საკოორდინაციო ჯგუფი დაამუშავებენ და განაზოგადებენ საკონსულტაციო შეხვედრებისას საზოგადოებისაგან მიღებულ შენიშვნებს და მოსაზრებებს;
11. პარკის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში საკოორდინაციო ჯგუფის მიერ რეკომენდაციების შემუშავება:
    - საკოორდინაციო ჯგუფის ფორმატში ყველა არსებული ხედვის განხილვის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისათვის;
12. კონსულტაციების შედეგებისა და რეკრეაციული პროექტის საბოლოო ვერსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ინფორმაციის გავრცელებაში ასევე ჩაერთვებიან:
    - აქტიური მოქალაქეები და პარტნიორი სსო-ები (სურვილის შემთხვევაში),
    - საბინაო ამხანაგობები (შესაბამისი რაიონის გამგეობის თხოვნით);
13. საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განხილული იქნება საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ შეხვედრებზე და ანკეტირების პროცესში გამოთქმული მოსაზრებები და მერიის მიერ მათი გაზიარების (პროექტის მოდიფიცირების), ან არგუმენტირებული უარყოფის გადაწყვეტილება;
14. ინფორმაცია შეხვედრების შედეგების და განხილული თემების შესახებ გავრცელედება სოციალური ქსელების გამოყენებით.

4. საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი:

4.1. ჯგუფის უფლებამოსილებები

საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი არის ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება პარკების დაგეგმვის შესახებ კონსულტაციების პროცესის წარმართვის და კოორდინაციის მიზნით. ჯგუფის გადაწყვეტილებები მერიისთვის სარეკომენდაციოა.

საკოორდინაციო ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:

- კონსულტაციების გეგმის შედგენა;
- კონსულტაციების მასალების განსაზღვრა;
- კონსულტაციების გამართვა;
- საკომუნიკაციო და პიარ გეგმის განსაზღვრა;
- კონსულტაციების შედეგების გაანალიზება, დასაბუთება და გადაწყვეტილებების მიღება;
- რეკომენდაციების შემუშავება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად საკოორდინაციო ჯგუფი:

- შეიმუშავებს საქმიანობის გეგმას;
- განსაზღვრავს საქმიანობისთვის აუცილებელ ინფორმაციას;
- შეიმუშავებს ჯგუფის საქმიანობის საკომუნიკაციო გეგმას;
- განსაზღვრავს საზოგადოებისათვის მისაწოდებელ ინფორმაციას/მასალას;
- შეიმუშავებს საზოგადოებასთან გასამართი კონსულტაციების გეგმას და რეგლამენტს;
- წარმართავს მართვას საზოგადოებასთან კონსულტაციებს;
- აანალიზებს საზოგადოებიდან შემოსულ მოსაზრებებსა წინადადებებს და კონსულტაციების შედეგებს;
- შეიმუშავებს დასაბუთებულ რეკომენდაციებს/წინადადებებს;
- განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის საქმიანობისას გამოსაყენებელ ტექნიკებს და ფორმატს;
- უზრუნველყოფს მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;
- შეუძლია თბილისის მერიის შესაბამის ერთეულებს მათი კომპეტენციის შესაბამისად სთხოვოს დახმარება საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით (მათ შორის შესაბამისი ინფორმაცია).

საკოორდინაციო ჯგუფის წევრს უფლება აქვს:

- გაეცნოს საკოორდინაციო ჯგუფში არსებულ ინფორმაციას და დოკუმენტებს;
- გამოთქვას მოსაზრებები/წინადადებები ჯგუფის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებზე;
- ჯგუფის წინაშე ინიცირება გაუკეთოს ჯგუფის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის განხილვას.

საკოორდინაციო ჯგუფის წევრი ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობაში;
- დაესწროს საკოორდინაციო ჯგუფის სხდომებს. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში აცნობოს საკოორდინაციო ჯგუფის კოორდინატორს გამოუცხადებლობის მიზეზების მითითებით.

4.2. საკოორდინაციო ჯგუფის შერჩევის წესი და შემადგენლობა

4.2.1. ჯგუფის საქმიანობის ზოგადი პრინციპები

- საკოორდინაციო ჯგუფი იქმნება თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო პროცესის ინიცირებასთან ერთად;

- საკოორდინაციო ჯგუფი იქმნება ერთჯერადად, ერთი კონკრეტული ობიექტის (პარკის) დაგეგმვის და შექმნის მიზნით;
- ჯგუფი იქმნება პარიტეტულ საწყისებზე - მის ერთ ნახევარს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემის ერთეულების, ხოლო მეორე ნახევარს - საზოგადოების წარმომადგენლები;
- ურბანული ტერიტორიებისათვის საკოორდინაციო ჯგუფის საზოგადოებრივი ნაწილის ფორმირება სასურველია მოხდეს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების და ამ ტერიტორიაზე მოქმედი დაინტერესებული მხარეებისაგან;
- არაურბანული ტერიტორიებისათვის საკოორდინაციო ჯგუფის საზოგადოებრივი ნაწილის ფორმირება მიზანშეწონილია განხორციელდეს ქალაქის ყველა დაინტერესებული ინტერესთა ჯგუფებისაგან;
- საკოორდინაციო ჯგუფი წარმოადგენს როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის მაკოორდინირებელ ორგანოს, ასევე საზოგადოების ჩართულობის მექანიზმს.

4.2.2. საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობა

საკოორდინაციო ჯგუფის მიერ საკუთარი ფუნქციის გამართულად შესრულებისთვის მნიშვნელოვანია მისი შემადგენლობა. სწორედ ჯგუფის შემადგენლობა განსაზღვრავს მისი წარმომადგენლობითობის ხარისხს, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესების წარმოდგენასა და დაცვას. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, რომ ჯგუფის წევრთა სოციალური სტატუსი იყოს მაქსიმალურად დივერსიფიცირებული:

- საკოორდინაციო ჯგუფში საზოგადოების წარმომადგენელთა კვოტით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელთა რაოდენობა სასურველია არ აღემატებოდეს წევრთა ნახევარს.
- საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობას ყოველი კონკრეტულ შემთხვევისათვის განსაზღვრავს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. საკოორდინაციო ჯგუფის წევრთა საერთო რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები და 20-ზე მეტი.
- ჯგუფის წევრებს შორის სასურველია დაცული იყოს გენდერული ბალანსი - ჯგუფის საზოგადოების წარმომადგენელთა კვოტით შესულ წევრთა არანაკლებ 1/3 იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.
- წახალისებული უნდა იყოს საკოორდინაციო ჯგუფში სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა.

ჯგუფის ადგილობრივი თვითმმართველობიდან წევრებად, გარდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებისა, აირჩევიან თბილისის მუნიციპალიტეტის შემდეგი სტრუქტურების წარმომადგენლები:

- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო;
- შესაბამისი რაიონის გამგეობა;
- თბილისის საკრებულო.

თბილისის მერია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, გაზარდოს ან შეცვალოს მუნიციპალური სტრუქტურების ჩამონათვალი.

ჯგუფის შემადგენლობაში საზოგადოებიდან მაქსიმალური წარმომადგენლობითობის გათვალისწინებით, უნდა შედიოდნენ საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები:

- იმ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე სადაც მდებარეობს პარკი, რომლის დაგეგმვაც უნდა მოხდეს (აქტიური მოქალაქეები ან/და სხვა გავლენის აგენტები: სამოქალაქო აქტივისტები, ინფლუენსერები/ბლოგერები);
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები (ურბანული ტერიტორიული მოდელის შემთხვევაში);

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;
- ბიზნეს ორგანიზაციები;
- აკადემიური და პროფესიული წრეები / დარგის ექსპერტები.

ჯგუფის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის წევრის მინიმალური ასაკი სასურველია განისაზღვროს 16 წლით, ხოლო ზედა ასაკობრივი ზღვარი არ იქნეს დადგენილი.

საკოორდინაციო ჯგუფს შეუძლია სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს დარგის ექსპერტები ან სხვა დაინტერესებული პირები.

4.2.3. ჯგუფის დაკომპლექტების წესი

ჯგუფის დასაკომპლექტებლად გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან და სხვა შესაბამის მუნიციპალურ სტრუქტურებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეარჩევს ჯგუფის წევრების ნახევარს.

საზოგადოების წარმომადგენელთა შერჩევის წესი და ეტაპები:

- საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც წესი, შეირჩევა კონკურსის გზით. წევრები შეირჩევა კანდიდატების (ფიზიკური პირები და იურიდიული პირების წარმომადგენლები) მიერ წარმოდგენილი მიმართვის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებას და წევრების შერჩევას ახდენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;
- განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების გარდა, მიმართვის ფორმა, სულ ცოტა, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლის გამოცდილებისა და საქმიანობის ადგილის (მაგალითად, სამიზნე ტერიტორიასთან კავშირი - იურიდიული რეგისტრაცია ან/და ფაქტიური საქმიანობა) შესახებ. კონკურსისთვის წარსადგენი განაცხადის ფორმა განისაზღვრება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ;
- კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება თბილისის მერიის ვებ-გვერდზე და სამსახურის ოფიციალურ სოციალურ ქსელში (facebook გვერდზე). აქვე ქვეყნდება განაცხადის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. გარდა ამისა, ინფორმაცია დამატებით განთავსდება ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის მერიის იმ რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს დასაგეგმი პარკი;
- დაინტერესებულ პირებს განაცხადების წარდგენისთვის, კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან, ეძლევა არანაკლებ 7 კალენდარული დღე.

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადების ოდენობა არასაკმარისია, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შეუძლია პერსონალურად მიმართავს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს საკოორდინაციო ჯგუფში მონაწილეობის შეთავაზებით და პირდაპირი კონსულტაციების საფუძველზე აირჩიოს საზოგადოების წარმომადგენლები.

თუ განცხადებების ოდენობა აღემატება დადგენილ კვოტას, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური უფლებამოსილია სამუშაო ჯგუფის წევრობის მსურველებთან ჩაატაროს გასაუბრება.

საკოორდინაციო ჯგუფის საბოლოო შემადგენლობა განისაზღვრება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ.

4.2.4. საზოგადოების წარმომადგენლების შერჩევის კრიტერიუმები

საკოორდინაციო ჯგუფში საზოგადოების წარმომადგენლების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება:

- კანდიდატების გამოცდილება და წვლილი, რომლის შეტანაც მათ შეუძლით საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში ან/და საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში;
- კავშირი თბილისის მუნიციპალიტეტის იმ რაიონთან, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იგეგმება პარკის დაგეგმვა ან განახლება. კერძოდ:
  - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, რომელიც ფუნქციონირებს თბილისის იმ რაიონის ტერიტორიაზე სადაც მდებარეობს პროექტის სამიზნე ობიექტი,
  - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომლის იურიდიული მისამართი (მ.შ. წარმომადგენლობა) მდებარეობს თბილისში ან ორგანიზაცია საქმიანობას უნდა ახორციელებდეს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,
  - ბიზნეს ორგანიზაცია, რომლის იურიდიული მისამართი (მ.შ. წარმომადგენლობა) მდებარეობს თბილისში ან ორგანიზაცია საქმიანობას უნდა ახორციელებდეს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ინტერესთა ჯგუფებიდან ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში.

სასურველია ამ პროცესში ხელი შეეწყოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლობის მონაწილეობას.

4.3. საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის წესი

<u>ძირითადი პრინციპები</u>

- სამოქალაქო მონაწილეობის საკოორდინაციო ჯგუფი იქმნება პროექტების დაგეგმვის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფისა და რეკომენდაციების / წინადადებების შემუშავების მიზნით;
- ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობა, ხოლო შემადგენლობას განსაზღვრავს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;
- ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 და არაუმეტეს 20 წევრით. საკოორდინაციო ჯგუფის წევრთა კონკრეტულ რაოდენობას განსაზღვრავს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;
- ჯგუფში პარიტეტულ საწყისებზე შედიან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემის და საზოგადოების წარმომადგენლები (50% შედგება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემის, ხოლო 50% - საზოგადოების წარმომადგენლებისაგან).
- საკოორდინაციო ჯგუფი იქმნება ერთი პროექტის განხორციელების ვადით. საკოორდინაციო ჯგუფის უფლებამოსილება წყდება მის მიერ იმ საქმიანობის განხორციელების დასრულებისას, რისთვისაც იგი შეიქმნა;
- ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უწევს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, რომლის წარმომადგენელიც ამავდროულად არის საკოორდინაციო ჯგუფის კოორდინატორი;
- საკოორდინაციო ჯგუფის სხდომებს იწვევს და უძღვება საკოორდინაციო ჯგუფის კოორდინატორი. საკოორდინაციო ჯგუფის კოორდინატორის არყოფნის შემთხვევაში მისი დავალებით ჯგუფის სხდომებს იწვევს და უძღვება ჯგუფის ერთ-ერთი წევრი;
- იმ რაოდენობის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, რაც არაუფლებამოსილს ხდის საკოორდინაციო ჯგუფს, ხდება საბჭოს ახალი წევრის დამტკიცება.

<u>სხდომის მოწვევა</u>

- ჯგუფი გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე, რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ, გარემოს დაცვის სამსახურის (ჯგუფის კოორდინატორის) ინიციატივით ან ჯგუფის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის სხვა დეტალური წესები და პრინციპები განსაზღვრულია მისი საქმიანობის წესით;

- ინფორმაცია საკოორდინაციო ჯგუფის მომავალი სხდომის გამართვის ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ქვეყნდება თბილისის მერიის ვებ-გვერდზე ან/და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (facebook გვერდზე). ჯგუფის წევრებს აღნიშნული ინფორმაცია ეცნობებათ ტელეფონით, ელ-ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით;
- საკოორდინაციო ჯგუფის სხდომის მოწვევის მოთხოვნის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში სხდომას იწვევს ჯგუფის კოორდინატორი. საკოორდინაციო ჯგუფის სხდომის ამ ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში, სხდომას იწვევს და უძღვება სხდომის მოწვევის ინიციატორი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი.

<u>სხდომის ორგანიზება/წარმართვა</u>

- საკოორდინაციო ჯგუფი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა და დამსწრეთა 1/4 მაინც საზოგადოების წარმომადგენლები არიან;
- სხდომას უძღვება ჯგუფის კოორდინატორი ან მისი დავალებით, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი;
- საკოორდინაციო ჯგუფის სხდომას, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება ესწრებოდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემის მოხელეები/თანამშრომლები;
- საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით, საკოორდინაციო ჯგუფის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივ საწყისებზე, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ დარგის სპეციალისტები/ექსპერტები ან სხვა დაინტერესებული პირები;
- საკოორდინაციო ჯგუფის სხდომა ღიაა. შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური პირობების არსებობისას ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს საკოორდინაციო ჯგუფის სხდომებს, ხოლო სხდომის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობით დასვას კითხვები ან გამოთქვას მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე;
- საკოორდინაციო ჯგუფის ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

<u>გადაწყვეტილების მიღება</u>

- ჯგუფი ყველა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუმცა არანაკლებ ჯგუფის წევრთა საერთო შემადგენლობის 1/3-ით;
- გადაწყვეტილებებს მიიღება ღია კენჭისყრით;
- საკოორდინაციო ჯგუფის სხდომის შესახებ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც, საქმიანობის წესის შესაბამისად, ხელს აწერს ჯგუფის სხდომაზე დამსწრე ყველა პირი;
- საკოორდინაციო ჯგუფის გადაწყვეტილებები/რეკომენდაციები აისახება ჯგუფის სხდომის ოქმში, რომელიც ქვეყნდება თბილისის მერიის ვებ-გვერდზე ან/და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე).

5. საზოგადოებრივი კონსულტაციები

5.1. კონსულტაციების ორგანიზების ძირითადი პრინციპები

5..1.1. კონსულტაციების მიზანი და ფორმები

პარკ(ებ)ის დაგეგმვის პროცესის ინიცირების შესახებ საზოგადოების ინფორმირების, ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფისა და საზოგადოების წინადადებების/მოსაზრებების მიღების მიზნით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის დახმარებით, საზოგადოებასთან ატარებს კონსულტაციებს.

საზოგადოებასთან კონსულტაციების ფორმებია:

1. **ანკეტური გამოკითხვა,**
2. **საჯარო შეხვედრა,**
3. **კონფერენცია.**

კონსულტაციების მექანიზმი გამოიყენება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფლებამოსილების სფეროში არსებული პარკების დაგეგმვისა და შექმნის პროცესში. ამასთან შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის მექანიზმი: ურბანული ტერიტორიებისათვის და არაურბანული ტერიტორიისათვის. ეს ორი მექანიზმი მსგავსია, თუმცა განსხვავდება რიგ ასპექტებში, რაც განპირობებულია ურბანული თუ არაურბანული ტერიტორიების სპეციფიკით.

შესაბამისად კონსულტაციის გამართვის ფორმა შეიძლება განსხვავდებოდეს ურბანული ტერიტორიის და არაურბანული ტერიტორიის პარკებისთვის:

- ურბანულ ზონებში შესაძლოა ჩატარდეს როგორც საჯარო (პირისპირ) შეხვედრები, ისე შემაჯამებელი კონფერენცია;'
- არაურბანულ ზონაში უფრო ეფექტურია კონსულტაციები ჩატარდეს კონფერენციის ფორმატში.

კონფერენციებისა და საჯარო შეხვედრების ოდენობას ადგენს საკოორდინაციო ჯგუფი, თბილისის მერიის შესაბამის სამსახურთან (მათ შორის გარემოს დაცვის სამსახურთან) კონსულტაციების საფუძველზე.

საზოგადოებასთან კონსულტაციები, როგორც წესი, ტარდება საკოორდინაციო ჯგუფის საზოგადოების წარმომადგენლების შემადგენლობით დაკომპლექტებიდან 1 თვის განმავლობაში.

შენიშვნა: საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უშუალოდ კონსულტაციების რაუნდის სავარაუდო ხანგრძლივობა მინიმუმ 1 თვეს (30 დღე) შეადგენს:

- *კონსულტაციების დაგეგმვა და გამოცხადება - პროცესის მერიის მიერ ინიცირებიდან 5 დღეში;*
- *უკუკავშირის მიღება საზოგადოებიდან - გამოცხადებიდან 15 დღეში*
- *უკუკავშირის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება - უკუკავშირის მიღებიდან 10 დღეში.*

თუ საგანგებო მდგომარეობის ან ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო დაუშვებელია ან შეუძლებელია საჯარო შეხვედრის/კონფერენციის ჩატარება მონაწილეთა ფიზიკურად დასწრების ფორმით, საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს დისტანციური დასწრების გზით.

5..1.2. კონსულტაციების შედეგების შეჯამება

კონსულტაციების სხვადასხვა ფორმის (ანკეტირება, საჯარო შეხვედრები, კონფერენციები) ქვემოთ, შესაბამის ქვეთავებშია განხილული. ამ ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია

კონსულტაციების შედეგების შეჯამების პროცედურაზე, რომელიც პრინციპში, საერთოა ყველა ფორმისათვის:

- საჯარო შეხვედრებზე, კონფერენციებზე და ანკეტირების პროცესში გამოთქმული მოსაზრებები, მათი გაზიარების (პროექტში ასახვის რეკომენდაციის), ან არგუმენტირებული უარყოფის მიზნით, განხილული იქნება სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეხვედრაზე;
- საკოორდინაციო ჯგუფის წევრთა მოსაზრებების/წინადადებების და საზოგადოებასთან გამართული კონსულტაციების შედეგების ანალიზისა და განხილვის საფუძველზე საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ამასთან, მოსაზრებების/წინადადებების გათვალისწინება ან მათ გათვალისწინებაზე უარის თქმა დასაბუთებული უნდა იყოს;
- საკოორდინაციო ჯგუფი, როგორც წესი საბოლოო რეკომენდაციებს შეიმუშავებს და წარადგენს საზოგადოებასთან კონსულტაციების დასრულებიდან 1 თვის ვადაში და წარუდგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს;
- ინფორმაცია შეხვედრების შედეგების და განხილული თემების შესახებ გავრცელედება სოციალური ქსელების გამოყენებით - თბილისის მერიის ვებ-გვერდზე ან/და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე).

მოქალაქეთა მიერ შემოთავაზებული განსაკუთრებით საინტერესო იდეების პოპულარიზაციის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საინფორმაციო საშუალებები და ელექტრონული რესურსები (მაგ. საიტი "შენი იდეა ქალაქის მერს").

სავალდებულო ერთიანი ფორმატი საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში არ არსებობს, საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფმა თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება მოამზადოს ანგარიში.

ამავე დროს ანგარიშში აუცულებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:

<u>რაოდენობრივი მონაცემები:</u>

- კონსულტაციების მონაწილეთა რაოდენობა და დემოგრაფია;
- უკუკავშირის პროცესში საზოგადოებიდან მიღებული წინადადებებისა და კომენტარების რაოდენობა;
- კონსულტაციის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრებისა და კონფერენციების რაოდენობა.

<u>თვისობრივი მონაცემები:</u>

- წინადადებები და კომენტარები, რომელშიც მოცემულია საზოგადოებრივი სივრცის შემოთავაზებული პოლიტიკა და ცვლილებები;
- წინადადებები წარმოდგენილ პროექტში შესატანი კონკრეტული ცვლილებების შესახებ;
- კომენტარები საზოგადოებრივი სივრცის შემოთავაზებული პროექტის განხილულ ვარიანტებზე.

5.2. ანკეტირება

ანკეტური გამოკითხვის მიზანია, პარკის დაგეგმვის პროცესის შესახებ დაინტერესებული პირების მოსაზრებებისა და წინადადებების მიღება.

ანკეტირების პროცესის წარმართვისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ:

- კითხვარის ფორმას და შინაარს განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფი (უნდა მოიცავდეს: პროექტის მოკლე აღწერას, რესპოდენტის დემოგრაფიულ მონაცემებს და მისი მოსაზრებებს/წინადადებებს, აგრეთვე ინფორმაციას კითხვარის წარდგენის ფორმის შესახებ;

- გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს მოხდეს ელექტრონულად ან/და მატერიალური (ბეჭდური) ფორმით, ამასთან ანკეტური გამოკითხვის ფორმატს თბილისის მერიის შესაბამის ერთეულებთან კონსულტაციების საფუძველზე განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფი;
- გამოკითხვის ვადები და განრიგი რეკომენდირებულია თავიდანვე იყოს განსაზღვრული საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, შესაძლოა თბილისის მერიის შესაბამის ერთეულებთან კონსულტაციების საფუძველზე;
- სასურველია გამოკითხვა იყოს ანონიმური, რათა მაქსიმალურად მოხდეს მოქალაქეთა მოსაზრებების მოპოვება;
- საზოგადოების მაქსიმალური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, გამოკითხვის შესახებ ინფორმაცია და კითხვარი წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს თბილისის მერიის ვებ-გვერდზე და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (facebook გვერდი), ასევე დაიგზავნოს გარემოს დაცვის სამსახურისთვის ცნობილი დაინტერესებული სუბიექტების ელექტრონულ ფოსტებზე (ასეთის არსებობისას). ინფორმაციის გავრცელება დამატებით შეიძლება მოხდეს სხვა საშუალებებითაც;
- გამოკითხვის შედეგების პირველად დამუშავებას უზრუნველყოფს გარემოს დაცვის სამსახური, ხოლო ანკეტური გამოკითხვის შედეგების შეჯამებას და ანალიზს ახორციელებს საკოორდინაციო ჯგუფი.

მაგალითი. ქვემოთ მოტანილია ანკეტის ერთ-ერთი შესაძლო ვერსია:

კითხვარი თბილისის ??? პარკის (სკვერის) მოსაწყობად

თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ??? პარკების დაგეგმვისა და შექმნის პროცესში ჩართულია საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება მერიის უფლებამოსილ პირებისგან და მოსახლეობის, აკადემიის, ბიზნესის, საბინაო ამხანაგობებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისგან.
2021 წლის (??? თვე) მერიის გარემოს დაცვის სამსახურმა და საკოორდინაციო საბჭომ მოამზადა ??? პარკის/სკვერის (??? მისამართი, ადგილმდებარეობა) სავარაუდო ხედვა.
გთხოვთ, შეავსოთ წარმოდგენილი კითხვარი და წვლილი შეიტანოთ ??? პარკის (სკვერის) დაგეგმვაში.
თქვენი მონაწილეობა მნიშვნელოვანია! ერთად გავაშენოთ თბილისის პარკები!

1. *სქესი: მდედრობითი მამრობითი*
2. *ასაკი:*
   16-25 26-35 36-45 46-55 56-ზე ზევით
3. *დასაქმება (დააზუსტეთ სფერო) _____*
4. *ხართ თუ არა საბინაო ამხანაგობის წევრი? დიახ არა*
5. *მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ქალაქი სოფელი*
6. *იცნობთ თუ არა ??? (სკვერს/პარკს/ტერიტორიას) (შენიშვნა: ჩაანაცვლეთ შესაბამისი უბნით/ბაღის ან სკვერის სახელწოდებით) დიახ არა*
7. *რამდენად ხშირად დადიხართ თბილისის რომელიმე პარკში/სკვერში?*
   არ დავდივარ იშვიათად დავდივარ ხშირად დავდივარ
8. *რა მიზნით დადიხართ პარკში/სკვერში? (მონიშნეთ ყველა შესაძლებელი)*
   - *ვისეირნო*
   - *გავასეირნო ბავშვი*
   - *გავატარო დრო მეგობრებთან ერთად*
   - *მოვაწყო პიკნიკი*
   - *ვისეირნო ველოსიპედით*
   - *შევხვდე ბიზნეს-პარტნიორს არაფორმალურ გარემოში*
   - *გამოვიდე შესვენებაზე სამსახურიდან*
   - *დავკავდე სპორტით (ვირბინო, ვიარო, ვივარჯიშო და სხვა)*
   - *გავასეირნო შინაური ცხოველი*

- *სხვა (დააზუსტეთ) _____*

9. *რა გართობა-მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი პარკში/სკვერში? (1-დან 5 ქულამდე შეაფასეთ მნიშვნელობა, სადაც 1- არაა მნიშვნელოვანი და 5 ძალიან მნიშვნელოვანია) (შენიშვნა: კატეგორიები მოწოდებულია საორიენტაციოდ, იცვლება მერიის პროექტის შესაბამისად)*

რამდენად ეთანხმებით?	***1***	***2***	***3***	***4***	***5***
პარკში უნდა შენარჩუნდეს "ველური ბუნება", იგი არ საჭიროებს მოწყობილ ბილიკებსა და სხვა ჩარევებს					
სასეირნო ბილიკები					
ველო ბილიკი					
შინაური ცხოველების სასეირნო ადგილი					
ბიბლიოთეკა ან/და საგანმანათლებლო სივრცე/მუზეუმი					
საკვები ობიექტი (სტაციონალური)					
საკვები ობიექტი (მოძრავი)					
ღია კინო თეატრი					
ატრაქციონები					
საკონცერტო სცენა					
ყინულის /"როლიკების"/სკეიტ და სხვა "ბორდების" მოედანი					
მინი ბიზნეს ცენტრი					
სამხატვრო გალერეა					
წიგნის, სუვენირებისა და სხვ. მაღაზია					
ველოსიპედის/სკეიტის/"როლიკების"/ციგურებისა და სხვ. გაქირავება					
სხვა (განმარტეთ)					

10. *თქვენ რომ იყოთ პარკის დაგეგმვის პასუხისმგებელი პირი, რა ღონისძიებებს შესთავაზებდით საზოგადოებას?*

დიდი მადლობა დახმარებისთვის. გთხოვთ შევსებული კითხვარი (გააგზავნოთ/დატოვოთ) შემდეგ მისამართზე:.???

5.3. პირისპირ შეხვედრები

5..3.1. შეხვედრების მიზანი და ჩატარების წესი

მიზანი

- საჯარო შეხვედრა არის საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების/წინადადებების მიღება დასაგეგმი პარკის, ან უკვე არსებული პარკის განახლების დაგეგმვის შესახებ;
- შეხვედრების გამართვის შესახებ ინფორმაცია წინასწარ (7 დღით ადრე მაინც), უნდა გამოქვეყნდეს თბილისის მერიის ვებ-გვერდზე და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (facebook გვერდი), ასევე უნდა განთავსდეს თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და თბილისის მუნიციპალიტეტის იმ რაიონის გამგეობების ადმინისტრაციულ შენობებში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს დასაგეგმი პარკი. საჭიროებების შემთხვევაში ამ ინფორმაციის გავრცელება დამატებით შეიძლება მოხდეს სხვა საშუალებებით.

შეხვედრების რაოდენობა

- შეხვედრების რაოდენობას განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფი, თუმცა რეკომენდებულია ჩატარდეს მინიმუმ ორი შეხვედრა მაინც;
- საჯარო შეხვედრების რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინებული უნდა იყოს დასაგეგმი პარკის მასშტაბი და შეხვედრებზე საზოგადოების სავარაუდო დასწრების ინტენსიობა და დაინტერესების ხარისხი;

- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ორზე მეტი შეხვედრის (საერთო შეხვედრა ან კონსულტაციები მოქალაქეთა მცირე ჯგუფებთან).

შეხვედრის დრო და ადგილი

- შეხვედრების გამართვის ადგილს და თარიღს განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფი, თბილისის მერიის შესაბამის ერთეულებთან კონსულტაციის საფუძველზე;
- შეხვედრები, როგორც წესი, შეიძლება ჩატარდეს თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, შესაბამისი რაიონის გამგეობის შენობაში ან სხვა მოსახერხებელ ადგილს, სადაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების მაქსიმალური რაოდენობის დასწრება და შეხვედრის ეფექტიანად წარმართვა;
- შეხვედრის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ სიტუაციაზე, დამსწრეთა რაოდენობაზე, აზრთა სხვადასხვაობაზე, თუმცა სასურველია არ აღემატებოდეს 3-4 საათს.

წარმოსადგენი მასალა

- საკონსულტაციო შეხვედრებამდე გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური საკოორდინაციო ჯგუფთან ერთად ამზადებს პროექტის საპრეზენტაციო ვერსიას, მარტივი და მაქსიმალურად ვიზუალიზებული ფორმით. პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს წარსადგენი პროექტის არსს და მიზანს და პროექტის ძირითად მახასიათებლებს.

5..3.2. შეხვედრების ფორმატი

- შეხვედრების მოდერაციას განახორციელებს სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი (ან, საჭიროების შემთხვევაში, საკოორდინაციო ჯგუფის მიერ მოწვეული მოდერატორი);
- ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს საჯარო შეხვედრას, აგრეთვე მოდერატორის თანხმობით დასვას შეკითხვა, გააკეთოს განმარტება და გამოთქვას მოსაზრება განსახილველ საკითხებზე;
- შეხვედრის შესახებ დგება ოქმი ან/და ელექტრონული ფორმის ჩანაწერი (ვიდეო ან/და აუდიო). ოქმი უნდა შეიცავდეს მონაცემებს:
  - შეხვედრის დაწყებისა და დასრულების დრო, შეხვედრის ადგილი,
  - მოდერაციაზე პასუხისმგებელი პირი, შეხვედრაზე დამსწრე საკოორდინაციო ჯგუფის წევრები,
  - შეხვედრის დღის წესრიგი, განხილვის საგანი და გამომსვლელები,
  - გამოთქმული მოსაზრებები/წინადადებები და გაკეთებული განცხადებები;
- საჯარო შეხვედრის ოქმი უნდა გამოქვეყნდეს თბილისის მერიის ვებ-გვერდზე ან/და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე).

შეხვედრის სავარუდო განრიგი

- პროექტის პრეზენტაცია (არსი, მიზნები, ძირითადი მახასიათებლები) - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;
- კითხვარების (ანკეტირების) შედეგების და სამუშაო ჯგუფის ხედვების წარდგენა (არსებობის შემთხვევაში) - სამუშაო ჯგუფი;
- ახალი/განსხვავებული ხედვები და დაზუსტებები (არსებობის შემთხვევაში) - საზოგადოების წარმომადგენლები;
- დამაზუსტებელი კითხვა-პასუხი;
- დისკუსია - საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული სურვილები, შენიშვნები და არგუმენტირებული შეთავაზებები;
- შეხვედრის შეჯამება (ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან ინტერესის არსებობის შემთხვევაში მოხდება მათთვის სამუშაო ჯგუფის შემდგომ შეხვედრებზე დასწრების შეთავაზება).

შენიშვნა: შესაძლოა შეხვედრაზე მოხდეს დამატებითი ანკეტების შევსებაც.

5.4. კონფერენციები

5..4.1. კონფერენციების მიზანი და ჩატარების წესი

მიზანი

- კონფერენცია არის საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, განსხვავებული ხედვების და მოსაზრებების განხილვა და საკოორდინაციო ჯგუფის მიერ რეკომენდაციების შემუშავების პროცესის ხელშეწყობა;
- კონფერენცია ღიაა ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
- კონფერენციის გამართვის შესახებ ინფორმაცია წინასწარ (10 დღით ადრე მაინც):
  - უნდა გამოქვეყნდეს თბილისის მერიის ვებ-გვერდზე და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (facebook გვერდი),
  - უნდა განთავსდეს თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობების ადგილსამყოფელ ადმინისტრაციულ შენობებში,
  - უნდა მოხდეს მოწვევების დაგზავნა უკვე იდენტიფიცირებიული დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის,
  - საჭიროების შემთხვევაში ამ ინფორმაციის გავრცელება დამატებით შეიძლება მოხდეს სხვა საშუალებებით.

კონფერენციების ოდენობა

- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ერთზე მეტი კონფერენციის გამართვა, რომელთაგან ბოლო სასურველია იყოს შემაჯამებელი ფორმატით.

კონფერენციების დრო და ადგილი

- კონფერენციების გამართვის ადგილი და დრო განისაზღვრება საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, როგორც წესი თბილისის მერიის შესაბამის ერთეულებთან კონსულტაციის საფუძველზე.
- კონფერენცია/კონფერენციების შეიძლება ჩატარდეს თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემის ერთეულების ადმინისტრაციულ შენობაში, შესაბამისი ინიციატივის არსებობის შემთხვევაში - საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილ ერთერთ ორგანიზაციაში (მაგ. უნივერსიტეტში) - ან/და სხვა ადგილას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების მაქსიმალური ოდენობის დასწრება და კონფერენციის ეფექტიანად წარმართვა;
- კონფერენციის გამართვის ადგილის და ხანგრძლივობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა ოდენობა და საზოგადოების დაინტერესების ხარისხი. ხანგრძლივობა დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ სიტუაციაზე, დამსწრეთა რაოდენობაზე და აზრთა სხვადასხვაობაზე, თუმცა სასურველია არ აღემატებოდეს 5-6 საათს.

წარმოსადგენი მასალა

- კონფერენციამდე გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფთან ერთად ამზადებს პროექტის საპრეზენტაციო ვერსიას (პროექტის არსი და ძირითადი მახასიათებლები);
- საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი ორგანიზებას უკეთებს ალტრენატიული ხედვების მქონე საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ მომზადებული პრეზენტაციების თავმოყრას (არსებობის შემთხვევაში).

5..4.2. კონფერენციის ფორმატი

- კონფერენციის მოდერაციას ახორციელებს საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენელი ან საკოორდინაციო ჯგუფის მიერ განსაზღვრული მოწვეული პირი/პირები;
- კონფერენცია ღიაა ყველა დაინტერესებული მხარისათვის. კონფერენციის გამართვის ადგილს და თარიღს განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფი;
- ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს კონფერენციას, რისთვისაც წინასწარი რეგისტრაცია უნდა გაიაროს საკოორდინაციო ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადებში და პროცედურით;
- კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ პირს უფლება აქვს, კონფერენციის რეგლამენტის შესაბამისად და შეხვედრის წამყვანის/მოდერატორის თანხმობით, დასვას შეკითხვა, გააკეთოს განმარტება/განცხადება, წარადგინოს ინფორმაცია და გამოთქვას მოსაზრება განსახილველ საკითხებზე;
- კონფერენციის შედეგების ამსახველი ოქმი უნდა გამოქვეყნდეს თბილისის მერიის ვებ-გვერდზე ან/და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე) და უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
  - კონფერენციის დრო და ადგილი, დამსწრე პირები,
  - კონფერენციის დღის წესრიგი, განხილვის საგანი და გამომსვლელები/გამოსვლები,
  - მოხსენებების თეზისები და ჯგუფური მუშაობის შედეგები,
  - დისკუსიის და განხილვის შედეგები.
- ოქმის გარდა, შესაბამისი პირობების არსებობისას, თბილისის მერიის ვებგვერდზე ან/და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სოციალურ ქსელში (facebook გვერდზე) შეიძლება გამოქვეყნდეს კონფერენციის ვიდეო, აუდიო და ბეჭდური მასალები.

შეხვედრის სავარუდო განრიგი

კონფერენციის დღის წესრიგი უნდა ითვალისწინებდეს:

- დასაგეგმი პარკის შესახებ ინფორმაციის (არსი, მიზნები, ძირითადი მახასიათებლები) მარტივად აღსაქმელი ფორმით წარდგენას;
- პროექტის თანამოხსენებებს/პრეზენტაციებს (არსებობის შეთხვევაში);
- დამსწრე პირთა მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობის მიცემას;
- დისკუსიის ფორმატში დამსწრე პირთა მიერ საკუთარი მოსაზრებების/წინადადებების წარდგენის შესაძლებლობას;
- მონაწილეთა ჯგუფში მუშაობის ან/და საკითხის განხილვაში მონაწილეობის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას;
- კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრებების/წინადადებების შეჯამებას (მერიის წარმომადგენლის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებების რეალისტურობის დადასტურებას ან უარყოფას).

შენიშვნები:

- *საკოორდნაციო ჯგუფმა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მონაწილენი დაყონ სამუშაო ჯგუფებად და მათ მიერ მომზადებილი ხედვები საერთო პლენერულ სხდომაზე გამოტანონ;*
- *შეიძლება სამუშაო ჯგუფებმა იმუშაონ ორ ეტაპად:*
  - *მუშაობა მსგავსი ინტერესების მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (სსო, საჯარო მოხელეები, ბიზნესი ...),*
  - *მუშაობა შერეულ ჯგუფებში (გასხვავებული ხედვების მქონე ინტერესთა ჯგუფების მიერ საერთო პოზიციების ჩამოყალიბება).*

6. საზოგადოების ინფორმირება

6.1. საზოგადოების ინფორმირების მიზანი და ფორმატი

პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მდგრადი დისკუსიის/კოორდინაციის პლატფორმის - **სამოქალაქო მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის** (შემდგომში „საკონსულტაციო საბჭო“ ან „საბჭო“) საქმიანობის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და საბჭოს საქმიანობაში ჩართვა. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციამ და გამოყენებულმა საშუალებებმა უზრუნველყონ არა მხოლოდ საკოორდინაციო ჯგუფის როლისა და ფუნქციების, შემადგენლობის ფორმირების, გადაწყვეტილების მიღების პროცედურების, ინიციატივების განხილვისა და გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, არამედ ხელი შეუწყონ საზოგადოების დაინტერესებული მხარეების უშუალოდ ჩართვას საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში, მოცემული ინიციატივის (დაგეგმვისა და განხორციელების) ყველა ეტაპზე. საკოორდინაციო ჯგუფის კონსულტაციების პროცესში, საკომუნიკაციო/პიარ კამპანია გულისხმობს, პარკის/სკვერის კონცეფციის ირგვლივ, მუნიციპალიტეტთან შეჯერებული ხედვების დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას (ინფორმაციის გავრცელება) და დაინტერესებული მხარეებისგან მათი ხედვის გაზიარება/გათვალისწინებას (ინფორმაციის ამოღება).

- საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს დაინტერესებული მხარეების მოზიდვა - გააქტიურება გაწევრიანდნენ ჯგუფის შემადგენლობაში. ამ მიზნით, საკოორდინაციო ჯგუფის როგორც როლის, საქმიანობისა და ფორმირების წესის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, შერჩეული სეგმენტების გათვალისწინებით.
- საკოორდინაციო ჯგუფის ფორმირების დასრულებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის ფორმირების (წევრების ვინაობის ჩათვლით), ასევე კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებული მხარეების ყველა სეგმენტისთვის. საკოორდინაციო ჯგუფის ფორმირების (წევრების ვინაობის ჩათვლით) ინფორმაცია ვრცელდება უკვე არსებული საკომუნიკაციო/პიარ საშუალებებიდან, ერთ-ერთით მაინც.

ძირითადი საკომუნიკაციო და პიარ საშუალებების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია მოხდეს მუნიციპალიტეტის პროექტის დაწყებამდე 2 თვით ადრე (60 - 62 დღე), ხოლო მათი აქტიური გამოყენება პროექტის დაწყებამდე 1 თვით ადრე (30-31 დღე).

6.2. კომუნიკაციის საშუალებები:

კონცეფცია იყენებს კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკის საშუალებებს, კერძოდ:

- თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, დაინტერესებული მხარეები მიიღებენ ინფორმაციას საკოორდინაციო ჯგუფის როლისა და საქმიანობის შესახებ და მიეცემათ საშუალება ჩაერთონ მუნიციპალიტეტის პროექტების განხორციელებაში (ჩამოსატვირთი სააპლიკაციო ფორმა და კითხვარი);
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებსა და სპეციალურ ღონისძიებებს (მიკრო-სეგმენტური და ფართო შეხვედრები, კონფერენცია-სემინარი, პრეზენტაცია, საკოორდინაციო ჯგუფში გაწევრიანების სააპლიკაციო ფორმა და პარკის/სკვერის კონცეფციის ირგვლივ იდეების გენერირების კითხვარი და სხვა); ურბანული და არა-ურბანული პროექტების სპეციფიკის გათვალისწინებით, **არა-ურბანული პროექტის (ვარიანტი 1)** შემთხვევაში, ნაგულისხმებია მინიმუმ 1 შეხვედრა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან, აკადემიასთან, (ერთად, ან ჯგუფებად), ხოლო **ურბანული პროექტის (ვარიანტი 2)** შემთხვევაში, ზემოხსენებულ სეგმენტებთან ერთად, მნიშვნელოვანია დამატებით მინიმუმ 2 შეხვედრის გამართვა მოსახლეობასთან, მოცემული გამგეობისა და საბინაო ამხანაგობების დახმარებით;

- საკონტაქტო ინფორმაციის შეგროვება და სადისტრიბუციო (სეგმენტური) ბაზის შექმნა. ამავე ეტაპზე (შეხვედრების მოსაწყობად და შეხვედრებზე) გროვდება სეგმენტურად დანაწევრებული დაინტერესებული მხარეების მონაცემების (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული მისმართი) შეგროვება და მონაცემთა ბაზების შექმნა;
- საინფორმაციო ფურცელის გავრცელება სეგმენტურ შეხვედრებზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის "სიკეთეების" (შესაძლებლობის) შესახებ და მოუწოდებს მოქალაქეებს ჩაერთონ საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში;
- ერთჯერადად, საკოორდინაციო ჯგუფის შესახებ 2 სოციალური რგოლის მომზადება: ა) როლი, ფუნქცია, მექანიზმი და ფორმირების წესი, ასევე მოწოდება გაწევრიანდნენ საკოორდინაციო ჯგუფში და ბ) პარკის/სკვერის კონცეფციასთან დაკავშირებით იდეების შეგროვება;
- შესაძლებლობების ფარგლებში, მომზადებული სოციალური ვიდეო რგოლის გავრცელება სატელევიზიო ეთერებისა და სოციალური მედია ქსელის საშუალებით;
- პრესს რელიზის გავრცელება მერიის საშუალებებით;
- შესაძლებლობების ფარგლებში, საკოორდინაციო ჯგუფის წევრების მონაწილეობა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში;
- ქალაქის მერის მიერ ინფორმაციის გავრცელება - მოწოდება საკოორდინაციო ჯგუფში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.